# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი № 158 | 13 დეკემბერი 2010 წ.

საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

*დასახელება*

საქ. პარლამენტის წევრი ვ. ბალავაძე

*ინიციატორი*

საქ. პარლამენტის წევრი ვ. ბალავაძე

*ავტორი*

რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

10. 12. 2010.

*შემოსვლის თარიღი*

უმოკლეს ვადაში

*საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი*

*პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი*

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე — გიორგი წერეთელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№158/3

13 დეკემბერი, 2010 წელი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ბალავაძის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი – მეორე და მესამე – მოსმენით.

3. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ კანონპროექტზე თავიანთი შენიშვნები და წინადადებები უმოკლეს ვადაში წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტს.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი წერეთელი